ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №02-08/81

ქ. ქობულეთი

5 ივლისი 2016 წელი

ერთის მხრივ შ.პ.ს. ,,ქობულეთის წყალი" (ქ. ქობულეთი, კაიკაციშვილის ქ#52), მისი დირექტორის ოთარ ზოიძის სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორეს მხრივ შპს ,,ლაშვარდი" (ქ. ბათუმი ლეონიძის ქ #6ა/21), მისი დირექტორის ფრიდონ მგელაძის სახით (შემდგომში - მიმწოდებელი), ორივე ერთად წოდებული როგორც ,,მხარეები", ვმოქმედებთ ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტო ბრძანება №13 ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესით" ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.2 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, მიმწოდებელი თანახმაა შემსყიდველს მიაწოდოს სახელმწიფო შესყიდვების CPV35100000 (საგანგებო სიტუაციების დროს გამოსაყენებელი მოწყობილობები და უსაფრთხოების საშუალებები) კოდით გათვალისწინებული საქონელი დანართი #1 შესაბამისად, ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. მიწოდებული საქონლის ღირებულება შეადგენს 4850 (ოთხიათასრვასორმოცდაათი) ლარს

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისაწოდებელი საქონელის მოწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, რომლის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

2.2 მოწოდების ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღე.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს ,,მომწოდებელს" მიწოდებული საქონლის ღირებულება, მოწოდებიდა 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

3.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ „მიმწოდებელი"–ს საბანკო რეკვიზიტებზე.

3.2. შემსყიდველი ვალდებულია წინასწარ გადაუხადოს ავანსის სახით მიმწოდებელს საქონლის ღირებულების 50%.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 საქონლის მიღება დასტურდება დღგ-ს ანგარიშფაქტურით და მიწოდებულ საქონელზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, რომელიც უნდა გაფორმდეს ,,შემსყიდველი"-ს მოთხოვნის საფუძველზე, მიწოდების ფაქტიურად განხორციელებისთანავე.

4.2 საქონლის მიღება ჩაბარებას ახორციელებს შპს ,,ქობულეთის წყალი"-ს უფლებამოსილი პირი.

4.3 მოწოდებული საქონელის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

4.4 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონელის და წუნდების მიზეზის მითითებით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს შემსყიდველისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება მიწოდების მომენტში არსებულ საცალო ფასებში.

5.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მოწოდებელი საქონელის ღირებულების ანაზღაურება ,,შემსყიდველი"-ს მოთხოვნით შედგენილი შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტისა და ყოველი ანგარიშფაქტურის საფუძველზე ხელშეკრულებით გათვალისწინეულ ვადაში.

6. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

6.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

6.2.ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

6.3.ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

6.4 თითოეული მხარე ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად გამოწვეული ზიანი.

7. ფორს-მაჟორი

7.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

7.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

7.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და წყვეტს მოქმედებას 2016 წლის 30 ოქტომბერს

10. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
შ.პ.ს. ,,ქობულეთის წყალი"	შპს ,,ლაშვარდი"

მის: ქობულეთი, კაიკაციშვილის ქ №52

ს/კ 247009856

ს.ს. ,,ლიბერთი ბანკი“

ანგ№GE83LB0113123942011000

ბანკის კოდი: LBRTGE22

მის; ქ. ბათუმი ტელმანის ქ # 6ა/21

ს/კ 245619763

ს.ს. ,,საქართველოს ბანკი“

ანგ№ GE37BG0000000131808400

დირექტორი: ო.ზოიძე

დირექტორი: ფ.მგელაძე

დანართი #1

#	შესასყიდი საქონელის და სესასრულებელი სამუსაოს დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	საერთო ღირებულება
1	ცეცხლმაქრი ფხვნილოვანი оп-25	5	350	1750
2	ცეცხლმაქრი ფხვნილოვანი ABCE 5კგ (миг) მონტაჟით	12	80	960
3	ცეცხლმაქრი ფხვნილოვანი ავტომანქანებისათვის	8	37	296
4	ცეცხლმაქრი ნახშიროჟანგოვანი ОУ-2 მონტაჟით (ოფისისათვის)	1	94	94
5	სახანძრო სტენდი მეტალის კომპლექტში	5	314	1570
6	სახანძრო ვედრო	10	12	120
7	ნიჩაბი	5	12	60
				სულ : 4850

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ.ქობულეთი

14 ივლისი 2016 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ერთის მხრივ შპს ,,ქობულეთის წყალი" მისი დირექტორის მოადგილის მურმან ცეცხლაძის სახით და მეორეს მხრივ შპს ,,ლაშვარდი" მისი დირექტორის ფრიდონ მგელაძის სახით ვადგენთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ 2016 წლის 5ივლისს შპს ,,ქობულეთის წყალსა" და შპს ,,ლაშვარდი"-ს შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება #02-08/81 პირობების შესაბამისად, შპს ლაშვარდმა უზრუნველყო 2016 წლის 14 ივლის შპს ,,ქობულეთის წყალი"-ს საჭიროებისათვის სახელმწიფო შესყიდვების CVP35100000 კოდით გათვალისწინებული საქონელის მიწოდება მონტაჟი

მოწოდებული საქონელის მთლიანმა ღირებულებამ შეადგინა 4850 ლარი

აქტი სწორია რაზედაც ვაწერთ ხელს

ჩაიბარა: შპს ,,ქობულეთის წყალი"-ს დირექტორის მოადგილე

მ.ცეცხლაძე ----------

ტექნიკური უსაფრთხოების სპეციალისტი

გ.კალანდარიშვილი ----------

წყლის წარმოების ადა განაწილების განყოფილების უფროსი

ი.ბერიძე----------

წყალარინების განყოფილების უფროსი

ვ.თხილაიშვილი ----------

შპს ,,ლაშვარდი"-ს დირექტორი

ფ.მგელაძე ----------

LASHVARDI LIMITED LIABILITY COMPANY GEORGIA 245619763